# სახალხო გაზეთი

№ 447 ხუთშაბათი, 10 ნოემბერი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 447

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთად.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვიჩა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: სასახლის ქ., დ. ზ. სარაჯიშვილის სახლი, მიხაილი ეზოდან.

ფოსტის ადრესი: ...ლებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети" п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



## დ. ყვირილაში

„ორიაპნის" სტამბასა და წიგნის მაღაზიაში მიიღება ხელის მოწერა „სახალხო გაზეთზე". აქვე მიიღება ყოველგვარი განცხადება ამ გაზეთში დასაბეჭდად.

## „სახალხო გაზეთი"

სურათებიანი დამატებით

1 გიორგობისთვიდან წლის ბოლომდე

**ღირს 1 მან. 60 კაპ.**

ერთი თვით, როგორც ქალაქში ისე მის გარედ . . . **80 კაპ.**

ფოსტის ადრესი: ტფილისი, „სახალხო გაზეთი". (П. Я. 190).

რედაქცია და კანტორა იმყოფება: სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლში, შესავალი ეზოდან.

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 79.

ხუთშაბათს, 10 ნოემბერს, 1911 წ.

ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა გორდინისა:

**ს ა ტ ა ნ ა,** დრამა 5 მოქ. და 6 სურათ. თარგმან. ვ. შალიკაშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი დავითაშვილი, ბეჟანაშვილი, ვიქტორელი, ქილარჯიშვილი; ბ-ნნი: ალექსი-მესხიშვილი, არადელი-იმხნელი, გუნია, ჭავჭავაძე, გვარამაძე, მგალობლიშვილი. დასაწყ. საღ. 8 ს. ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

ა ნ ო ნ ს ი: მზადდება ანტიგონა, ახალი მომღერება, გამცემი, ჩერჩეტი, ლევან საჯგრელის მთავარი.

2.921.1) რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი. ქართ. დრ. საზ. ადმინისტრაცია.

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

კვირას, 13 ნოემბერს,

გაიმართება **სალიტერატურო დილა** სამ განყოფილებათ.

1) სერგეი გორგაძე წაიკითხავს ლ ე ქ ც ი ა ს: „ალექსანდრე ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურის ისტორიაში".

2) სალიტერატურო საკონცერტო განყოფილება.

მონაწილეობას მიიღებენ: ცქვიტი, (დარისპანულს), მეტრეველი (ლექსს), აზოსპირელი, ქურიშვილი და გასრამე წაიკითხავენ თავიანთ ნაწარმოებს. წულაძე—გურულ სცენებში, საფაროვი—სომხურ სცენებში, იორდანაშვილი—გინტრულ როლებში.

ბავშვებისაგან შემდგარი ქართული ხორო კ. ჩარკვიანის ლოტბარობით, საგინაშვილი (თარზე), აბაშიძე და დავითაშვილი—სიმღერებს დაუკრავენ. აკომპანიმენტს—კ. სტეფანოვისა. დასაწყ. ნაშუადღევის 1 საათ. ● ადგილ. ფასი 5—50 კაპ. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. გამგე ოქრუაშვილი. (2.1584.1)

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

ხუთშაბათს, 10 ნოემბერს,

სახალხო სახლთან არსებულ ქართ. წარ. მმართ. წრის მიერ წარმოდგენილი იქნება

1) **პარიზელი ბიჭი,** კომ. 2 მოქ., თარგ. ჯორჯაძისა.

2) **დარისპანის გასაჭირი,** კომედია 1 მოქ. დ. კლდიაშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: მარ. გოგოლაშვილი, ო. ლეჟავა, გარე-კახელი, სიხარულიძე, ციმაკურიძე, ეგ. წუწუნავა; ბ-ნნი: ალ. არაბიძე, გოცირიძე, ვარდოსანიძე, ზონელი, ფრონის-პირელი, ჩაჩანაშვილი, ალ. შანშიევი, ალ. წუწუნავა, ვლ. წუწუნავა. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ადგილების ფასი 5—50 კ.

ადმინისტრატორი ან. ჭიაბერიშვილი, რეჟისორი ალ. წუწუნავა (1.1497.1)

**საბურთალოზე** მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ.—1147—171)

**ექიმი მედიცინისა წამლობა ქალაქისა** ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი** ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა ტ უ ბ ე რ კ უ ლ ი ნ ი.

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. გათოლიკეთა ქუჩა, N 10 ტელეფ. 792. (თ 100—1534—29)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილებაა მოწყობილი 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან. ტელეფონი № 590.

ოპერაციონალურ ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, მხოლოდ გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები შემდეგ დროს:

ექიმი-ქალი გერბილცკაია-ფირადოვისა დ. ე.—სამშობიარო და ქალის სნეულ. დაკაც. ყოველ დღე 11—12 ს.

ვეძეგანიშვილი მ. ა. ნერვ. და ელექ., შაბათ., $10^1/_2$—11 ს.

ძმგოიანი რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მიდელაშვილი ვ. ვ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

მიქელაძე ტ. ს. შინაგანი, ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^1/_2$ საათ.,

მზარეულოვი მ. ი.—კანისა და ვენერ ყოველ დღე, 1—$1^1/_2$ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ ყოველ-დღე $12^1/_2$—1 ს.

ორემბოვსკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ყოველ დღე 12—1 ს.

ფირადოვი რ. ბ. ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ დღე 12—1 ს.

ხოზოლევსკი გ. ვ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სულაგოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

თიკანაძე ი. ე.—ქალის სხ. და სამშობიარ., ყოველ დღე 1—2 ს.

ფედოროვი ე. გ.—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე გარდა, კვირისა და ოთხშაბათისა 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი **წამლობა „606"-ით** Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიური და ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შედავათ. საფასურით. (წ.—1089 605

ფრანგთა უსახელო საზოგადოება კავკასიაში

## საავტომობილო მიმოსვლისა.

ზამთრობით მიმოსვლა ავტომობილით

1911 წ. 2 (15) ნოემბრიდან

◀ ბორჯომსა, ახალციხესა და აბასთუმანს შუა. ▶

ბორჯომიდან გადის ახალციხისკენ ყოველ დღე, საღამოს 4 საათზე. ახალციხიდან—ბორჯომისკენ დილის 9 საათზე. კვირაში ერთხელ, პარასკევობით, ავტომობილი ივლის აბასთუმნამდე, ხოლო მეორე დღეს, შაბათს, უკანვე დაბრუნდება—დილის 8 საათზე, გაივლის ახალციხეს—დილის 9 საათზე.

| ფასი: | | |
|---|---|---|
| | ბორჯომ-აბასთუმანი . . . | 5 მან. |
| | ბორჯომ-ახალციხე . . . | 3 „ |
| | ახალციხე აბასთუმანი . . . | 2 „ |

ბარგი—ერთი ფუთი უფასოდ, ზედმეტ ფუთზე—50 კაპ. (24—1581—2)

ნურსად შეუკვეთავთ ფეხსაცმელებს მანამ

## ა. ს. გირგიდოვის ფეხსაცმელების სამეფოში არ შეივლით.

1) სასახლის ქუჩა, № 3; 2) განყოფილება: მიხეილის პროსპექტი № 100.

ფირმა 1875 წ.-დან არსებობს.

ყოველ დღე ვღებულობთ: ლონდონიდან, ვენიდან, ბერლინიდან და საქსონიიდან ყოველ-გვარ ახალ-ახალ სასეზონო საქონელს. ტფილისში ჯერ გაუგონარი მრავალი ფეხსაცმელები მთელ მსოფლიოში განთქმული „ვერნიკ და ამხ."-სა. მსოფლიოში განთქმული თავის სიმკვიდრით, პეტერბურგის მექანიკურ ქარხნის „სკოროხოდ"-ისა. მოხდენილი და კოხტა ფეხსაცმლები „ძმ. ლისიანსკებისა"—ვენაში, ინგლისურ ქარხნის „ზდოროვიე"-სი (ლონდონში) და სხვა უცხოეთის და რუსულ ფირმებისა.

კალოშები ქვეყანაზე განთქმული „რუსეთ-ამერიკის რეზინულ მანუფაქტურისა"—ტრეუგოლნიკი.

(4—1578—2)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის

ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება $9^1/_2$-დან 5 ს.-დე

ი. მ. ახმეტოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

ყაუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1

მოსხე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა $1^1/_2$—3 სათ.

კალმიკაროვი—ქალის ავად. ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 12—1 ს.

უკლადნიკოვი—შინაგ. ავად. ყოველ დღე 4—5 საათ.

რიდელი—შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე 1—3 საათ.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

რუდენკო—შინაგ. ხუთშაბ და კვირაობით 3—4 ს.

ვეხელთვოზორიძე ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

ისხელიანისა—ქალ. ავად., ორშაბა., ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

უბლამქაროვი—ნერ., ელექტრო-ტერაპ., ყოველდღე 2—3 საათ.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-სს საღამოს 6—7 საათამდე.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის წესით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (თ.—1526—17)

**ექიმი** კბილისა იოსებ ზაქარიას ძე კ ა ნ დ ე ლ ა კ ი

მიიღებს დილით 9-დან 2-მდის და საღ. 4-დან 7-მდის. ხწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სვამს ხელოვნურ კბილებს. ტფილისი, მიხაილოვის პროსპექტი, N 7. (50—1552—8)

**ექიმი** შ. ა. მ ი ქ ე ლ ა ძ ე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის.

**ექიმი** ე. მ ა შ ა კ ი ძ ე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქუჩა N 12 (...0—31)

**ექიმი** ე. ი. მინასიანცი. შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლავ. სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9—11 ს.-დე და საღამოს 6—7 საათამდე. გლისაბედის ქუჩა, N 39, ტელეფონი N 1667. (100—1117—35)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. გაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ბ. ა. მოშკოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—$11^1/_2$.

ვ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. $11^1/_2$—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

გ. ვ. ხოზოლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კლინიკური მკურნალობით

**წამლობა „606"-ით.** (წ—1090—209)

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 საათ. და საღ. 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., N 12, სახლი მდივნისა.

**ექიმი** კბილისა ნინო რცხილაძე

მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს. მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. N 5.

**ექიმი** ნ. ტ. მ უ ლ ი ნ ი ყელისა, ცხვირისა და ყურის

ავადმყოფების მიღება დილის 12—1 საათამდე საღამოს 6—8-მდე. სერგეევის ქ. 8. (თ.—1545—21)

**ექიმი** ზ. ნ. მაზაკიანი შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფ. სპეციალური ავადმყ., კუჭისა და ნაწლებისა. მიღება დილ. 10—11 ს. (ბავშვ.), და 5—7 ს. (სხვ.). მიხეილის პროსპექ. N 26, ტელეფონი 388. 25—1442—69

## ფოტოგრაფია პარიზიდან ჩამოსულ ი. მირაკიანისა

საფრანგეთის რესპუბლიკის საპრეზიდენტო ფოტოგრაფიის —ევ. პირუს—დირექტორი.

უსრულესი მხატვრული ფოტოგრაფია

სერგიევის ქუჩა № 4.

Pfotografie d' Art.

(5—1577—3)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—52

დოქტორი მედიცინისა

**ი. ე. თიკანაძე**

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და საქალებო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადედაკაცო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის. კიროჩნის ქ. სახ. N 18, თავ. გარსევანიშვილისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. (თ.—839—39)

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 9—... ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავად. მყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N ... სახლი გაბაშვილისა.

**ექიმი** პ. არდაზიანი შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარება).

ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, N 3, დილის 9—12 ს. საღამოს 5—7. (25.899.10)

**ექიმი** ვ. მუსხელიშვილი მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 საათ. დიდი მთავრის ქუჩ., N 67, სახლი ხვანიშვილისა.


## ადგილობრივი პრესა

იმ საყვედურის გამო, რომელიც „მნათობმა" შეგვოგვითვალა ქუთაისიდან, „კოლხიდა"-ში ბ-ნი გრ. ვეშაპელიანი სწერს:

„ახლა რას იტყვითო?"—გვეკითხებით რაღაც დიდი სიამოვნების სახით. თქვენ რომ სხვის პრინციპიალობას პატივსა სცემდეთ და მისი გულწრფელობა გწამდეთ, თქვენში რომ იმდენი საჭირო სულგრძელობა და ჯენტლმენობა იყოს, რომ ქვენა გრძნობებს, დაბალ ხარისხის წვრილმანობას არ ემორჩილებოდეთ, მაშინ ასეთი კითხვით არ მოგვმართავდით იმ დროს, როდესაც ჩვენ შორის ჩვენ მიერვე დაგმობილმა უსირცხვო ღალატმა იჩინა თავი, იმ დროს, როდესაც, რაც უფრო საგულისხმოა, თქვენ ამ საკითხზე პასუხი უკვე გქონდათ: ის წერილი, რომლითაც „სახალხო გაზეთმა" საქვეყნოდ გაკიცხა, ღალატად აღიარა ქართველ ამომრჩეველთა ჯგუფის ცენტრალური ბიუროს ზოგიერთ წევრთა საქციელი, ქუთაისში იმდენად წინ იყო მოსული, რომ, თუ გსურდათ, შეგეძლოთ ასეთი საკითხი არ დაგეყენებინათ. მაგრამ თქვენ ეს არ ინებეთ, ალბად იმიტომ, რომ სხვის ბანაკში ღალატი თქვენ სასიამოვნო საქმედ მიგაჩნიათ, ის ღალატი, რომელიც, ჩვენდა სამწუხაროდ, სად არ ხდება, რომელ ბანაკში არ ჩნდება ხოლმე, დღევანდელი სულის გამხრწნელ პირობების წყალობით, ის ღალატი, რომელშიც,—და ეს თქვენ კარგად იცით—თანამონაწილედ ის თქვენი იდეური მოპირდაპირენი არ ყოფილან, რომელთაც თქვენ აგრე თავგამოდებით ებრძვით ხოლმე, ის ღალატი, რომელიც არც თქვენი ბანაკის ახალ ისტორიაში არის უცხო ამბავი. დიახ, მეტად სამწუხაროა ასეთი მოვლენა ყოველ საზოგადოებრივ ჯგუფის ცხოვრებაში, რა მიმართულებისაც უნდა იყოს ეს უკანასკნელი. თქვენ კი ამ სამწუხარო მოვლენას ბოროტი ადამიანის კმაყოფილებით შეხვდით და საჯაროდ გვეკითხეაით იმაზე, რაც თქვენც კარგად უწყით. კარგად უწყით, რომ „სახალხო გაზეთის" ხელმძღვანელები, მისი თანამშრომლები და, სხვათა შორის, ბ. არჩილ ჯორჯაძეც რა პრინციპების რა მისწრაფებათა მიმდევარია; მაგრამ თქვენთვის საეფექტო დემონსტრაცია იყო საჭირო თქვენი აუდიტორიის წინაშე და ამ სურვილმა ისე გაგიტაცათ, რომ ბრალიანი უბრალოსაგან ვეღარ გაარჩიეთ, და ყველა ისინი, რომელნიც თქვენ არ მოგწონთ, შავრაზმელებად მონათლეთ გაუწითლებლივ"...

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **სიონის ტაძრის გალავანის გაფართოება** ქართლ-კახეთის სასინოდო კანტორამ სასურველად იცნო და დაადგინა: 1) აღძრას შუამდგომლობა, რათა გალავანის გარშემო მდებარე სახაზინო მიწები ტაძარს დაეთმოს და 2) აგრეთვე მოლაპარაკება გამართოს კერძო მესაკუთრეთა მიწების გამოსყიდვის თაობაზე.

✦ **სახალხო უნივერსიტეტის** გამგეობა 13 ნოემბერს სახალხო სახლში ტოლსტოის დილას გამართავს.

✦ **ფილოქსერა ორთაჭალაში.** აგრონომმა ი. ო. იოსელიანმა ორთაჭალაში დაათვალიერა ყორღანოვის ვენახი და ფილოქსერა აღმოაჩინა.

✦ **გიორგობა.** დღეს თავის დღესასწაულს უქმობს ორი ქართული ეკლესია: ქვაშვეთის წმ. გიორგისა და სასახლის ძველი ეკლესია (ექსარხოსის მოედანზე), რომელიც ამას წინად იქმნა განახლებული.

✦ **ქუთაისის გუბერნატორი** ა. ი. სლავოჩინსკი გუშინწინ ტფილისიდან ქუთაისს გაემგზავრა.

✦ **იარმუკა-ბაზარი სოფლად.** საგუბერნიო მთავრობამ ნება დართო, გორის მაზრის სოფელ ზემოგომში კვირაობით იარმუკა ბაზარი გაიმართოს.

✦ **მეფუტკრეობა.** ქართველ ხალხში მეფუტკრეობის გავრცელების აზრით კავკასიის მეფუტკრეობის საზოგადოებამ საჭიროდ იცნო, მეფუტკრეებისთვის სახელმძღვანელო გამოსცეს ქართულ ენაზე.

✦ **საქალაქო არჩევნების გამო.** როგორც მკითხველთ იციან, ქალაქის საბჭომ ამას წინად გადასწყვიტა, ქალაქის მომავალი არჩევნები ბარათებით მოახდინოს და არა კენჭის ყრით, როგორც აქამდე იყო. ახლა ქალაქის გამგეობაში 21 ხმოსნის მიერ ხელმოწერილი განცხადება იქმნა შეტანილი, რომელშიაც ხმოსნები აღწერენ კენჭის ყრით მოხდენილ არჩევნების უპირატესობას და საჭიროდ სთვლიან, ქალაქის საბჭომ გააუქმოს თავისი დადგენილება ბარათებით არჩევნების მოხდენის თაობაზე.

✦ **დასაფასებელი გადასახადი.** 1911 წლის პირველ იანვრიდან 5 ნოემბრამდე ქალაქს 606,251 მან. გადასაფასებელი გადასახადი აუკრეფია. ამავ ხნის განმავლობაში შარშან აუკრეფია—580589 მან.

✦ **„ჯეჯილი".** რედაქციამ მიიღო ჟურნალ „ჯეჯილის" ოქტომბრის (10) ნომერი, რომელიც ჩვეულებრივ საინტერესოდ და შინაარსიანად არის შედგენილი.

✦ **ქართველ ამომრჩევლების** საზოგადო კრება 13 ნოემბრისთვის არის დანიშნული ქართულ თეატრში.

◆ **ქართველთა ჯგუფის ბიურომ** დღეის საღამოს 8 საათისთვის ქალაქის საავადმყოფოს დარბაზში (მუხრანის ქ.) მეორე უბნის ყველა ამომრჩეველთა კრება დანიშნა, რომელზედაც 14 ხმოსანი და 8 კანდიდატი უნდა იქმნეს დასახელებული.

◆ რედაქციამ მიიღო **კიევის ხაკომერციო ინსტიტუტის ქართველ სტუდენტობისაგან** სამგლოვიარო დეპეშა ნ. ზ. ცხვედაძის გარდაცვალების გამო.

◆ **ქალაქის საბჭოს** კრებები ამ ჟამად კვირაში ორჯელ ჰხდება. საბჭოს კრება დღეს ექნება.

◆ **განკარგულება.** ამ ჟამად ტფილისში მრავლად დაიარებიან ჩოხოსანნი, რომელნიც პოლიციის დეპარტამენტის ცირკულიარის წინააღმდეგ ნებადაურთველად ხმალ-ხანჯალს ატარებენ. ამიტომ პოლიცმეისტერმა პოლიციელთ დაავალა, ის პირნი, რომელნიც ნებადაურთველად იარაღს ატარებენ, სამართალში მისცენ და ამას გარდა ხმალ-ხანჯალიც ჩამოართვან.

◆ **დუღაბის სიმცირე და სიძვირე.** ბოლო ხანს ტფილისში ძნელი საშოვნელი გახდა დუღაბის (ცემენტის) შოვნა, ისიც მამასისხლად არის. ეს გარემოება გამოიწვია იმან, რომ ტფილისში აუარებელი სახლი შენდება და საკმარისი დუღაბი კი არ იშოვება. ასეთი მოვლენა რუსეთის ბევრს ქალაქშიაც ყოფილა, მაგრამ სიმცირე და სიძვირე დუღაბისა უკვე თავიდან აუცილებიათ საზღვარ-გარეთიდან დუღაბის გამოწერით. ტფილისშიაც ამ საშუალებას მიმართეს. ამ თვის შუა რიცხვებში ფოთში და იქიდან ტფილისში ჩამოიტანენ დიდძალ ავსტრიულ დუღაბს.

◆ **ქალაქის საფსიხიატრო საავადმყოფო** ქალაქის სარევიზიო კომისიამ დაათვალიერა და საჭიროდ იცნო ახალ საკუთარ შენობის აგება. შესაფერს მოხსენებას ამ საქმის გამო კომისია ქალაქის საბჭოს წარუდგენს განსახილველად.

◆ **ნავთი.** როგორც ვწერდით, სოფელ მარტყოფში (ტფ. მაზრა) ნავთის ნიშნები აღმოჩნდა. ამ გარემოებისთვის, როგორც გვიგეთ, დიდი ყურადღება მიუქცევია ლონდონის ერთს დიდს ამხანაგობას, რომელიც მომავალ გაზაფხულს სამს ინჟენერს ჰგზავნის მარტყოფის ნავთიან ადგილების გამოსაკვლევად.

◆ **ქალაქის გამშვენიერება.** ქალაქის სარევიზიო კომისიამ თათბირი იქონია ქალაქის სასეირნო ბაღებისა და ადგილების მოვლის თაობაზე და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მათ ნაკლები ყურადღება აქვთ მიქცეული და ფულიც ცოტა იხარჯება მათზე, თუმცა ამ ადგილების წესიერ მოვლას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ქალაქის გამშვენიერებისა, ისე გაჯანსაღებისათვის. კომისიის აზრით, ქალაქმა ყოველწლივ უნდა მოუმატოს იმ თანხას, რომელიც ბაღებისა და სასეირნო ადგილების შესანახად გადაიდება ხოლმე და იმ ჯამამდე აიყვანოს, რომ ქალაქის მთელი ბიუჯეტის 3°/₀ მაინც შეადგენდეს. კომისია შესაფერ მოხსენებას ქალაქის საბჭოს წარუდგენს.

◆ **ქალაქის კერძო სელექტრონო სადგურების** მეპატრონენი, ქალაქთან დადებულ ხელშეკრულობის ძალით, მოვალენი არიან, ქალაქის რამდენიმე ადგილი თავის ხარჯით გაანათონ, მაგრამ ამ პირობას არ ასრულებენ, ქალაქის გამგეობაში ამ ჟამად საკითხი აღიძრა შესაფერ ზომების შემუშავების თაობაზე. განზრახულია, აღარავის არ მისცენ კერძო სადგურის უფლება, თუ ქალაქს არ წარუდგენენ.

◆ **ქალაქის წყალსადენი.** მკითხველი ხშირად გაიგონებდა მცხოვრებთა წუწუნს და ჩივილს ქალაქის წყალსადენის გამო. ამის და მიუხედავად უნდა აღვნიშნოთ, რომ ქალაქი წყალსადენზე ბევრ ფულს ხარჯავს. ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისიამ, რომლის აზრითაც წყალსადენის ექსპლოატაცია წესიერად არ არის დაყენებული, ფული კი დიდი იხარჯება, თუმკა ეს სრულიადაც არ არის საჭირო. კომისიას საჭიროდ მიაჩნია, შედგენილ იქმნას საგანგებო კომისია, რომელმაც უნდა გადაათვალიეროს წყალსადენის მოსამსახურეთა შტატს შედგენილება და საერთოდ ექსპლოატაციის მთელი წესები. კომისიაში უნდა შევიდნენ: ხმოსანი ტეხნიკოსები და წყალთა უწყებისა, საგუბერნიო სამმართველოსა და რკინის გზის წარმომადგენელნი (ინჟინერ ტეხნიკოსები.)

◆ **თავის მოკვლა.** 8 ნოემბერს, ნადეჟდინის ქუჩაზე მცხოვრებმა ნიკანორ გუივანსკიმ (რკინის გზის სახელოსნოს დურგალმა) სახლში ცოლის არ ყოფნის დროს პირში სანადირო თოფი დაიტყა. გუივანსკი გარდაიცვალა. სტოლზე, ხატთან, ბარათი იდო, სადაც ეწერა: „დაე ამ წმიდა ხატმა იცოდეს, რომ მე არაფერში დამნაშავე არა ვარ, მაგრამ მთელი ქალაქი მდევნის. არ ვიცი კი რად". როგორც ამბობენ, განსვენებული ჭკუაზე შერყეული ყოფილა.

◆ **როგორც მკითხველთ იციან,** ტფილისში ბევრს ადგილას ამზადებენ შინაურ სადილებს და თვეობით აძლევენ მსურველთ. შინაურ სადილების მომზადებამ [illegible] ხელობის ხასიათი მიიღო, მაგრამ სადილის მომზადებლებს არავინ თვალყურს არ ადევნებს. ქალაქის გამგეობაში ახლა საკითხი აღიძრა იმის თაობაზე, რომ სადილების დამზადების უფლება მიეცეთ მხოლოდ იმათ, რომელნიც ქალაქის გამგეობიდან შესაფერ მოწმობას აიღებენ.

◆ სასამართლოში მოწმად დაბარებულნი პოლიციელნი ხშირად სასამართლოში არა ცხადდებიან და გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზთა მოწმობას მხოლოდ საქმის გარჩევის დღეს უდგენენ სასამართლოს, რითაც სასამართლოს მეტს ჯრომსა და შრომას აკარგვინებენ. სასამართლოს თხოვნის თანახმად, პოლიცმეისტერმა პოლიციელთ დაავალა, ასეთი მოწმები თავის დროზე წარადგინონ სასამართლოში, წინააღმდეგ შემთხვევაში კანონიერად დაისჯებიან.

◆ 7 ნოემბერს ტფილისში 9 [illegible] შეიპყრეს.

◆ 7 ნოემბერს, თავის ბინაზე, ანდრეევის ქუჩაზე, უეცრად გარდაიცვალა აკოფ ხვეჩის ძე თორთიზიანცი.

◆ 7 ნოემბერს, იურიევის ქუჩაზე მცხოვრებმა მეჩექმე გიორგი გადინაშვილი ჯერ თავის ძმას ალექსის წაეჩხუბა და შემდეგ გულში დანა დაიცა. სამკურნალო დახმარების აღმოსაჩენად მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

## საზოგადოებანი და კრებები.

◆ **საქართველოს ხაისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების** წევრთა წლიური კრება 13 ნოემბერს მოხდება თავად-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში. განსახილველია: 1) საზოგადოების ანგარიში 1910 წლისა, 2) სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა და 3) მ. ჯანაშვილის მოხსენება ქართულ „დაბადების" თარგმნის შესახებ. დასაწყისი დილის 11 საათზე.

◆ **წ.-კითხვის საზოგადოებაში.** 8 ნოემბერს გენერალ გ. ნ. ყაზბეგის თავჯდომარეობით ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელ. საზოგადოების მთავარ გამგეობის მორიგი კრება მოხდა. გამგეობამ დაადგინა: 1) მიეცეს 150 მან. ერთდროული დახმარება გორის მაზრის სოფელ ატენის პირველდაწყებით სკოლას, რომლის გახსნის ნებართვა გამგეობამ ახლად აიღო და რომელიც ადგილობრივ მცხოვრებთა თავად-აზნაურობამ გლეხთა განთავისუფლების 50 წლის შესრულების გამო მისცა საზოგადოებას; 2) მისცეს ტფ. სასულიერო სემინარიასთან განზრახულ ქართულ ბიბლიოთეკას ორ-ორი ცალი თავისი გამოცემათა და წიგნების ფასი შევსებულ იქმნას „სასკოლო და საბავ-ლიოთეკო" თანხიდან. 3) გადასდოს საკითხი ალაგირი (თერგის ოლქი) სკოლის ახალ შენობის ასაგებად ფულის გადადების შესახებ და დაავალოს საზოგადოების კავკასის განყოფილების გამგეობას ამ სკოლის ვითარება გამოიკვლიოს და შემდეგ იქონიოს მსჯელობა ფულის გადადების თაობაზე და 4) გადასდოს ჯერ-ჯერობით საქმის სისრულის გამო ქუთაისის და ძველ სენაკის სათავადაზნაურო პირველ დაწყებით სკოლების სამზრუნველოს თხოვნის გარჩევა დამხმარე საზოგადოებისაგან მიღებულ ფულის მოხმარების შესახებ.

◆ **კავკასის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების** კრება 8 ნოემბერს მოხდა საზოგადოების პრეზიდენტის თავ. პ. ა. გრუზინსკის თავმჯდომარეობით. წარსულ კრების ოქმების წაკითხვის შემდეგ ვ. მ. სავიჩმა წაიკითხა მოხსენება გორის მაზრაში პომოლოგიურ სადგურის დაარსების თაობაზე. მოხსენება გადაეცა საზოგადოების საბჭოს, რომელმაც მომავალ კრებას თავისი მოსაზრებანი უნდა წარუდგინოს ამ მოხსენების გამო. საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტად ბარათებით ერთხმად არჩეულ იქმნა ვ. ა. სოკოლოვი, ხოლო ხაზინადრად ისევ ე. ო. იოსელიანი იქმნა არჩეული. ხანგრძლივი კამათი გამოიწვია საკითხმა საზოგადოების მდივნის არჩევის თაობაზე. საბჭოს მიერ კანდიდატად წამოყენებული იყო ერთი კაცი, სახელდობრ ი. ფ. იუზბაშევი, რომელიც ამ ჟამად მდივნობას დროებით ასრულებს. ზოგიერთმა წევრმა მოითხოვა, არჩევნების გადადება ერთის კვირით მაინც და ორის კანდიდატის წამოყენება, მაგრამ დამსწრეთა უმრავლესობის სურვილის თანახმად არჩევნები იმავ საღამოს მოხდა. ყუთი დაუდგეს ხსენებულ ი. იუზბაშევს, რომელსაც 16 შავი და 10 თეთრი კენჭი ამოუვიდა. ამ რიგად ეს კანდიდატურა გაშავდა და საზოგადოებას ახლო მომავალში ახალ არჩევნების დანიშვნა მოელის.

## სასწავლებლებში

◆ **ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის** შემოსავალმა უკანასკნელ ხანს ძალიან იკლო, რის გამოც ქალაქის გამგეობა სასწავლებლის დირექტორს ინჟენერს აკუნოვს შეეკითხა, რამ გამოიწვია ეს გარემოებაო. დირექტორმა უპასუხა: იმან, რომ გარეშე პირთაგან სამუშაოს აღების ვერიდებით, რადგანაც მოწაფენი თავის პირდაპირ საქმის შესწავლას ვეღარ ასწრობენო.

## სასამართლო.

◆ **სალიტერატურო საქმე.** დღეს ტფ. ოლქის სასამართლო გაარჩევს პეტერბურგის შავრაზმულ გაზეთ „რუსკოე ზნამია"-ს რედაქტორის ცნობილ ა. ი. დუბროვინის საქმეს. დუბროვინს კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ნ. ფ. რუდოლფი უჩივის გაზეთის საშუალებით ცილის დაწამებისათვის.

◆ **ტფ. ოლქის სასამართლოს უფროსი თავმჯდომარე** ნ. ა. ტოლპიგო სამსახურის საქმეთა გამო პეტერბურგს გაემგზავრა.

## ქუთაისი

◆ **ქუთაისის ქალაქის თავს** კერძო წერილი მიუღია ფინანსისტ მენდელსონის რწმუნებულისაგან, სადაც ის აღუთქვამს მას 1 ნახევარ მილიონ სესხის შოვნას და წინადადებას აძლევს: თუ ქალაქის თვითმართველობა წყალსადენის, არხების, ტრამვაისა და განათების საქმეს კერძო პირთ მისცემს, იმ შემთხვევაში აცნობოს მას ყველა ამის ვარაუდი, რათა დაინტერესებულ პირთ გააცნოს ეს საქმე.

◆ **რევიზია.** ამ დღეებში მრეწველთა საბჭოს საქმეების **რევიზია მოახდინა** ქ. ქუთაისში სიეზდისაგან დანიშნულმა სარევიზიო კომისიამ, რომელშიაც სამთო-მადნო სამმართველოს წარმომადგენელიც შედის. სარევიზიო კომისია უკვე გაემგზავრა ჭიათურაში, სადაც ამ კვირას მოახდენს იქაურ საბჭოს დაწესებულებათა რევიზიას.

◆ **ჭიათურის 35 მრეწველისაგან** გუშინ განცხადება მიიღო მრეწველთა საბჭომ ქუთაისში, სადაც თხოულობენ დაუყოვნებლივ აღიძრას შუამდგომლობა მორიგ „სიეზდის" ჭიათურაში გადატანის შესახებ ქუთაისის მაგიერ.

◆ 18 ნოემბერს სამხედრო სასამართლო გაარჩევს გაძარცვის და 13 წლის ბავშის მოკვლის საქმეს, რის გამო ბრალი ედებათ შემდეგ პირთ: კალანდაძეს, ეზეიშვილს, ბარამიძეს და სანიკიძეს. როგორც შემდგარ ოქმიდან სჩანს, ეს საქმე მომხდარა გასულ წლის 20 დეკემბერს:

ეზეიშვილი, ბარამიძე და სანიკიძე მისულან ღამით მცირეწლოვან კალანდაძესთან. გაუღვიძებიათ დუქნის, წაუყვანიათ მეორე დუქნის კარებთან, რომელშიც დუქნის პატრონს დატოვებული ჰყოლია 13 წლის ბავში, და უბრძანებიათ კალანდაძისთვის დაეძახნა ხსენებულ ბავშისთვის, რომ მას კარი გაეღო. ბავშს მართლაც გაუღია კარი და ყაჩაღები შიგ შესულან. შეშინებულ ბავშს, პირველ მოთხოვნისათანავე მიუცია თოთხმეტი თუმანი; შემდეგ მძარცველები შეეკითხნენ: [illegible] გვიცანი თუ არა? ბავშს უპასუხნია, გიცანითო. მძარცველებს უტაციათ ხელი და თავი მოუჭრიათ ბავშისთვის. პოლიციას კალანდაძის ჩვენებით შეუპყრია დამცემლები, მაგრამ მათთან ერთად თვით კალანდაძეც დაუპატიმრებიათ. („მნათობი").

◆ **ხუთშაბათს, 10 ნოემბერს,** საღამოს 8 საათზე ქალაქის თეატრში დანიშნულია **ქართული საზოგადოების კრება** თეატრის საქმეებზე მოსალაპარაკებლად. იმედია, ქართველი საზოგადოება ბლომად დაესწრება ამ მეტად საინტერესო კრებას.

## პროვინცია

◆ **სოფ. კავთისხევიდან** (გორის მაზრა) გვწერენ: მხოლოდ დღეს გავიგეთ საზოგადო მოღვაწისა და მხკოვანი პედაგოგის ნ. ზ. ცხვედაძის გარდაცვალება და დასაფლავება, საზოგადოება დიდათ დამწუხარებულია მისი სიკვდილით, როგორც ერთი საუკეთესო მამულიშვილისა. მისი სულის მოსახსენებლად პანაშვიდი გადავიხადეთ. მღვ. პანტელეიმონ გედევანიშვილმა მოკლე სიტყვით აუხსნა დამსწრეთ ნ. ზ. ცხვედაძის მოღვაწეობა.

◆ **ლანჩხუთი** (გურია). შაბათს, 5 ნოემბერს, გაიმართა **ილია ჭავჭავაძის** ფონდის სასარგებლოდ „საღამო". წაიკითხეს ილიას ბიოგრაფია, რამდენიმე ლექსი, წარმოადგინეს „დედა და შვილი" და სხვა. ხალხი დიდძალი დაესწრო.

◆ **ხ. კასპი** (გორის მაზრა). აქაურ სომხურ ეკლესიის მედავითნეს ბნედა დაემართა და მიწაზე დაცემის დროს თავი ქვას დაახალა, რის გამოც გარდაიცვალა. მედავითნეს ბნედა წინადაც სჭირდა.

# ჟურნალისტის დღიური

49.

**ულმობელი ბედი.**

ულმობელი ბედი სდევს თან ჩვენს საზოგადო მოღვაწეებს. მთელი ნახევარი საუკუნე იღვწიან, დაუღალავად მუშაობენ საზოგადოების კეთილდღეობისათვის. ბოლოს იხოცებიან, და მგლოვიარე საზოგადოებაც თავს დასტირის განსვენებულთ. ყველას, ვისაც კი ცოტათი მაინც აინტერესებდა ქართულ საზოგადოებრივი მაჯის ცემა, თავის ზნეობრივ მოვალეობად მიაჩნია მწუხარება გამოსთქვას ძვირფას პიროვნებათა დაკარგვის გამო და ეს მწუხარება სხვებსაც გაუზიაროს.

დავმარხეთ ილია ჭავჭავაძე და მთელმა საქართველომ შავი სუდარა

# ანტიპედაგოგიური ჭიუტობა
## „კოლხიდის" პედაგოგისა.*)

ცრუს სიცრუის კარამდე სდიეთ.
**ქართული ანდაზა.**

„კოლხიდის" ყველა მკითხველს კარგად უნდა ახსოვდეს, რომ ჩემი პატარა საპედაგოგიო შენიშვნა, დაბეჭდილი ამ გაზეთის მე-151 ნომერში, „**კიდევ კარტული დეფიქტის**" სათაურით, იყო სრულიად ობიექტიური და პოლემიკურს ხასიათს სავსებით მოკლებული. ჩვენ ვარკვევდით პედაგოგისაგან წამოყენებულს საკითხს სრული სიწყნარით, მის პიროვნებას არ ვეხებოდით და არაფრით არა ვლახავდით: მიუხედავად ამისა, ჩვენს პატარა წერილს უკიდურესად გაუბრაზებია ჩვენი მოწინააღმდეგე და „კოლხიდის" ფურცლებზე მას გამოუქვეყნებია ვებერთელა წერილი — „პედაგოგიური ქირვეულობა", რომელიც თავით ბოლომდის სავსეა ბოროტი სიცრუით, სიბრაზით და აუტანელი სულით. ამ სულმა ისეთი ზიზღი დაბადა ჩემში, რომ პასუხის გაცემას კარგა ხანს სრულიადაც არ ვაპირებდი. მაგრამ მერე განზრახვა შევცვალე. ჩვენი სიჩუმე ფართო საზოგადოებას ადვილად შეეძლო სხვა ნაირად აეხსნა და ეს კი საგანს ავნებდა, და მერე ისიც როგორ საგანსა? მეტად დიდმნიშვნელოვანსა. დააყენეთ რუსული ენა ჩვენს სკოლებში პედაგოგიურად, და იგი თვითონაც დიდ მოგებაში იქნება და ქართულს ენასაც უსაჭიროეს, სავალდებულო, ორგანიულ ნაწილად გახდის ჩვენებურის სკოლების კურსისას. გადაუხვიეთ ამ გზასა, პოლიტიკურად მოაწყეთ სკოლა, გაამეფეთ მასში მუნჯური მეთოდი და მაშინ რუსული ენა გააუქმებს ქართულსა, და თვით ხალხსაც სამარისაკენ პირს უზამს. ამის გამო ვძლიეთ ჩვენ ზიზღსა და გავწყვიტეთ სიჩუმე.

თვით წერილის თავში, ეპიგრაფში ხალასი სიცრუე გაშანშხლა ჩვენმა პედაგოგმა. მან ინსინუაციის ფორმით გაატარა ის აზრი, ვითომც ჩვენ გვეთქვას, „რუსკოე სლოვო" სჯობიან ახალ ქრისტომატიასო. ჯერ ერთი ისა, რომ აქ შედარება შეუძლებელია. ჩემი რუსული სახელმძღვანელო შედგენილია ქართულ სახალხო სკოლებისათვის, სადაც მეტყველი მეთოდი-დამყარებული დედა-ენის სისტემატიურს დახმარებაზე და თვალსაჩინო ლონისძიების შემწეობაზე, სავალდებულოა, აუცილებელია სახელმძღვანელოს შემადგენლობისათვის. ქრისტომატია, შეთხზული კავკასიურს მოსამზადებელ სკოლებისათვის, სადაც თავი მოყრილი აქვთ ბევრის სხვა და სხვა ხალხის შვილებს, ძალაუნებურად გზა უნდა აუქციოს ბავშვების დედა ენას, ახსნა რუსულის სიტყვებისა აწარმოვოს რუსულისავე შუამავლობით და ეგრედ წოდებული მუნჯური მეთოდი გაამეფოს სკოლაში.

უნდა მოგახსენოთ, რომ თვითონ კავკასიური მოსამზადებელი სკოლები შეადგენენ ანომალიასა, ისეთს დაწესებულებებს, რომელთათვისაც შეუძლებელია ნორმალურის, პედაგოგიურის სახელმძღვანელოს შედგენა რუსულის ენის შესასწავლად. ყოველს ერს კავკასიისას უნდა ჰქონდეს ცალკე მოსამზადებელი კლასები, დაარსებული მხოლოდ მისი შვილებისათვის და მაშინ შესაძლებელი იქნება გაჩნდნენ იმისთანა სახელმძღვანელონი რუსულის ენისა, რომელთაც მჭიდრო კავშირი ექნება მოსწავლეთა დედა-ენასთან და მათ ეროვნულს ყოფა-ცხოვრებასთან. მაგრამ „კურთხეული" ბიუროკრატია ამას არ იწყნარებს, ხსნის ჭრიანტელ მოსამზადებელს კლასებს და იძულებულ ჰხდის ავტორებს შეადგინონ რუსულის ენის იმისთანა სახელმძღვანელო, რომელიც პლიუშკინის წაღებს მოგაგონებს. ეს წაღები, როგორც მოგეხსენებათ, დამზადებული იყო ყოველ-გვარ მოსამსახურისათვის, და სწორედ ამის გამო არც ერთს მოსამსახურეს ფეხებს იგი რიგიანად არ ადგებოდა. ასეთი პლიუშკინისებური წაღები იყო, მაგალითად, კურსი ლევიცკისა, გამოცემული ყველა კავკასიურის სკოლებისათვის და თავის დროზე ჩვენ იგი ჰრესში მოვნათლეთ პლიუშკინის წაღებად. რაც შეეხება ახალს ქრისტომატიას, იგი შეესაბამება იმ მდგომარეობას, რომელშიაც იმყოფებიან კავკასიური მოსამზადებელი კლასები, რომელთათვის ავტორებს იგი შეუდგენიათ დაუნიშნავთ და ჩვენ არამც თუ არ მოგვსვლია აზრად შევცვლებოდით მათ და გვეთქვა „Русское слово" სჯობიან ქრისტომატიასაო, არამედ კატეგორიულად და გულწრფელად ვუსურვეთ ამ ახალს სამოსწავლო წიგნს ყველა კავკასიურს სკოლებში მოფენილიყო.

როგორც სჩანს, ჩვენი პედაგოგი უკიდურესად გაუბრაზებია ვოსტორგოვთან შედარებას, და მასთან მსგავსების გამორკვევას. მაგრამ ამ მსგავსებას იგი არამც თუ არაფრით არ ასუსტებს, არ აბათილებს თავის მეორე წერილში; არამედ ახალს დამტკიცებას იძლევა მსგავსებისას, აღრმავებს მას იგი. ვოსტორგოვისავით ხელმეორედ თხოულობს: „რუსკოე სლოვო" ორივე ნაწილი ორის წლის განმავლობაში უნდა გათავდესო, თუნდა შემოკლებით, და მესამე წლიდან სახალხო სკოლებში ახალი ქრისტომატია უნდა შევიდეს ხმარებაშიო. ჩვენს პედაგოგს ვერ შეუგნია, რომ ამითი იგი უარესს რასმეს თხოულობს, ვიდრე სამოსწავლო ბიუროკრატია. ამ ბიუროკრატიის სამოსწავლო გეგმით, რომელიც დამტკიცებულია ორის ნამესტნიკის მიერ, რუსული წერა-კითხვა ისწავლება მეორე წლის დამდეგიდან. ამ წერა-კითხვას ქართველი ბავშვები ითვისებენ მეორე წლის დასაწყისში, „რუსკოე სლოვო"-ს — პირველი ნაწილის საშუალებით, შემდეგ აგრძელებენ ამავე ნაწილის შესწავლას და ათავებენ მას მეორე წლის ბოლოს. მესამე წელიწადს გადადიან მეორე ნაწილზე, რომელსაც ერთს წელიწადს ასწრებენ მხოლოდ საუკეთესო საქალაქო სასწავლებლებში, სასოფლო სკოლებში კი ანდომებენ მეოთხე წელიწადსაც, თუ მთელს არა, ნახევარს მაინც. ახლა ვკითხოთ: თუ გეგმა ჩვენი პედაგოგისა განხორციელდა, და მისი ქრისტომატია მესამე წლის სახელმძღვანელოდ დაიდო, რა მოხდება? მეორე ნაწილი „რუსკოე სლოვო"-სი გაუქმდება და მის ადგილსაც სახალხო სკოლებში დაიჭერს რუსული წიგნი, მოკლებული კავშირს ქართულს ენასთან და წერა-კითხვასთან და ქართულ სინამდვილესთანა. ამ გაუქმებას კაი ხანია თხოულობენ ის ბიუროკრატები, რომელნიც გაჟღენთილნი არიან უკიდურესი პოლიტიკანობით, და სწორედ ამ ვაჟბატონებს ბანს აძლევს ჩვენი პედაგოგი. თუ ამაში ეჭვი შეგეპარათ, მიბრძანდით წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და იქ დოკუმენტალურად დარწმუნდებით ჩვენის სიტყვების სიმართლეში. იქ, სხვათა შორის, შეიტყობთ, რომ წრეულს საეპარქიო საბჭომ ტფილისის გუბერნიისამ არც ერთი ეგზემპლიარი აღარ დაიბარა „რუსკოე სლოვოს" მეორე ნაწილისა. თუ მასწავლებლებს ჰკითხავთ ამის მიზეზს, ისინი გიპასუხებენ: ჩვენ ვთხოულობთ „რუსკოე სლოვო"-ს; მაგრამ არ გვაძლევენ და გვეუბნებიან: ჩვენი საწყობიდან შე-

*) ამ წერილის დაბეჭდვა გაზეთს „კოლხიდაში" შეუძლებლად გახადა ბ-ნმა ხილდვანმა იმითი, რომ ჯიუტურად შეაქვს თავისი პროვინციალური მართლწერა ჩემს სტატიებში, ნაცვლად ჩემის ქართულ—ლიტერატურულის მართლწერისა, რომელსაც მისდევენ ყველა ქართველნი მწერალნი იმერნი და ამერნი და ყველა პერიოდული გამოცემანი აქეთ და იქითა საქართველოსი.

**ავტორი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაიცვა. მაგრამ საჭირო იყო, მისი მოწამებრივი სიკვდილი, რომ იმ პატარა კუთხეს, სადაც ილია ჭავჭავაძემ თითქმის მთელი სიცოცხლე გაატარა, გაეგო, ვინ იყო ან რა ღვაწლი მიუძღოდა მას ქართველ ხალხის წინაშე. მთელმა საქართველომ იცნო იგი, ვერ იცნო მხოლოდ იმ სოფელმა, სადაც ილია ჭავჭავაძე სცხოვრობდა.

აი, ეხლაც დავმარხეთ ნიკოლოზ ცხვედაძე, მაგრამ იმ კუთხემ, სადაც განსვენებული დაიბადა და სადაც უკანასკნელი დღეები გაატარა, დღესაც არ იცის, რა დიდი ღვაწლი მიუძღვის მას ქართველ საზოგადოების წინაშე.

სოფ. კავთისხევს, სადაც განსვენებული ცხვედაძე დაიბადა, გვერდით აკრავს წინარეხი. რამდენიმე წელიწადია ამ სოფელში არსებობს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სკოლა, რომელიც განსაკუთრებით ნიკოლოზ ზებედეს ძის ინიციატივით დაარსდა. თვით წინარეხს კი ნაკლები წარმოდგენა აქვს ამ საზოგადოებაზე და განსვენებულს ცხვედაძეს კი, საზოგადოებისა და სკოლის ერთ-ერთს დამაარსებელთაგანს, სრულიად არ იცნობს, როგორც საზოგადო მოღვაწეს. თვით სოფ. კავთისხევშიაც არსებობს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ბიბლიოთეკა-სამკითხველო, და სოფელმა კი არ იცის, რომ ეს ბიბლიოთეკა ეკუთვნის იმ საზოგადოებას, რომლის წინაშეც დაუფასებელი ღვაწლი მიუძღვის ნიკოლოზ ცხვედაძეს.

ეს ჩვეულებრივი, ულმობელი ბედია ჩვენი მოღვაწეებისა. ვისაც ჰსურს პატივი სცეს ჩვენს საზოგადო მოღვაწეთა ხსოვნას, სხვათა შორის, ეს გარემოებაც არ უნდა დაივიწყოს. განსვენებული ცხვედაძე მთელი თავისი სიცოცხლეში ხალხის განათლებაზე ზრუნავდა, და ამას კი ვერა ხედავენ ისინი, ვინც დღეს მის შრომის ნაყოფით სარგებლობს.

ამიტომ ჩვენ სიამოვნებით ვეგებებით წინადადებას ბ-ნ ლ. ბოცვაძისას, რომელმაც, განსვენებულ ცხვედაძის ხსოვნის პატივსაცემლად, სწორედ სოფ. კავთისხევის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს შესწირა თავისი წვლილი.

თუ სხვებმაც მიჰბაძეს ბ-ნ ლ. ბოცვაძის მაგალითს, ბიბლიოთეკის სამზრუნველოს საშუალება მიეცემა რაიმე თვალსაჩინო კვალი დასტოვოს ბიბლიოთეკაში ნიკოლოზ ცხვედაძის ხსოვნის პატივსაცემლად.

## კერძო განმარტება

(წერილი რედაქციის მიმართ).

საარჩევნო ბიუროში მომხდარ განხეთქილების გამო ახალს გაზეთს „დილას" იერიში მოაქვს, სხვათა შორის პირადად ჩემზე: მართალია, ის ტაქტიკა, რომელსაც ბიურო დაადგა, მე ყოვლად შეუწყნარებლად მივიჩნიე, რის გამოც დროზე ოფიციალურად განვაცხადე უარი, ბიუროს მოქმედებაში მონაწილეობა განმეგრძო, მაგრამ არა მგონია ეს გარემოება საკმაო საბუთს აძლევდეს პრესას, სადავო საგანი პრინციპიალურ ნიადაგს მოსწყვიტოს და საპირადო ხასიათის კინკლაობათ დაახურდაოს. რა შეხედულებისაა გაზეთი „დილა" პირადად ჩემზე, ამას საზოგადოებრივი მნიშვნელობა არა აქვს; არცა მგონია, საინტერესო იყოს ეს მკითხველ საზოგადოებისთვის, ხოლო ჩემს თვალში კი **სრულიად არავითარი ფასი არა აქვს** ბ. ბ. გოთუას, სულაბერიძის, ნასიძის და გაზეთ „დილის" სხვა „პუბლიცისტების" აზრს ჩემს შესახებ.

რაც შეეხება თვით განხეთქილებას, უნდა მოგახსენოთ, რომ ის სრულებით „პირად ქიშპობის" ნაყოფი არ არის. ეს განხეთქილება გვიჩვენებს, რა ღრმად გაიდგა ჩვენი საზოგადოების ერთ ნაწილში ფეხი პრინციპიალურმა უპრინციპობამ, მაკიაველისებურმა ქცევა-ყოფამ და განუსაზღვრელმა ოპორტუნიზმმა. თუ სხვა ვინმე შეიძლება „დილის" პუბლიცისტებმა შეცდომაში შეიყვანონ თავის ფრაზეოლოგიით, მე, როგორც ბიუროს ყოფილმა წევრმა, კარგად ვიცი, რომ სწორედ რუს მემარჯვენეებთან ბლოკი იქმნა აღიარებული ხმის უმეტესობით შესაწყნარებლად და მისაღებად. მემარჯვენეებთან ბლოკის შეკვრა რად მიმაჩნია მე ღრმა საზოგადოებრივ შეცდომად, ამის დასაბუთება არ ესაჭიროება. ეს თავისთავად ცხადია. ჩემის ღრმა რწმენით, ჩვენს ეხლანდელ პირობებში საზოგადო სარბიელზე მოქმედებს ერთ-ერთ გადაულახავ პრინციპად ის უნდა ჩაითვალოს, რომ უმწიკვლოდ იქმნას დაცული ზნეობრივი სიძლიერე დემოკრატიულ და ქართულ ეროვნულ იდეალების მთლიანობისა. აი, ამ მთლიანობის აზრს შეურაცხჰყოფს მემარჯვენეებთან ბლოკი და იმიტომ ვერ შევურიგდი ბიუროს უმრავლესობის დადგენილებას.

კიდევ მხოლოდ ორი სიტყვა. „დილა" მართალს ამბობს, რომ მე არავის გამოვკამათებივარ იმ კრებაზე, რომელზედაც ბიუროს ერთმა წევრმა განაცხადა, ჩვენ ქართველები ვერ შევუერთდებით ვერც მემარჯვენეებს, **ვერც მემარცხენეებს**, მაგრამ ამის პასუხად რუსების წარმომადგენელმა ის კი არ განაცხადა, ჩვენ მემარჯვენეები არა ვართო, არამედ ის, რომ ჩვენ წინაღმდეგ არა ვართ, თუ ხმოსნად ქართველები უკიდურეს მემარცხენეს დაასახელებენ, ჩვენ მათის კანდიდატებს ყველას ხმას მივცემთ, ვინც უნდა იყვნენ, მაგრამ ჩვენ, რუსები, ვთხოულობთ, რომ ჩვენ კანდიდატებსაც ქართველებმა უეჭველად ხმა მისცენ, იმისდა მიუხედავად, ვინ იქნებიან ეს კანდიდატებიო. ლაპარაკი ასეთი იყო და მე რომ კამათი დამეწყო, ყოვლის უწინარეს ქართველების წარმომადგენელისთვის უნდა ამეტეხა დავა. თავისთავად ცხადია, იმ კრებაზე ასეთი დავა უადგილო იქნებოდა. გარდა ამისა, ამ კრებას დავესწარ მხოლოდ როგორც შორიდან მაყურებელი და არა როგორც ბიუროს წარმომადგენელი, სრულიად შემთხვევით. წინა-წარ რომ მცოდნოდა ის, რაც პირველად ამ კრებაზე შევიტყე ბ. ბ. გოთუასა და სულაბერიძისაგან მემარჯვენეებთან გამართულ მოლაპარაკებაზე, უნდა მოგახსენოთ, კრების დღეს ქართველ ამომრჩევლებთან მე უკვე ყოველივე კავშირი განუწყვეტელი მექნებოდა.

**გ. რცხილაძე.**

# ჩინეთის რევოლუცია

დეპეშები

8 ნოემბერი.

**შანხაი.** ნანკინში მდგომარეობა არ შეცვლილა. შანჰაისა და კანტონში მშვიდობიანობაა. არეულობას მოელიან ჩუნცინში. „პოლტავა" მოვიდა. ხმა დავარდა, პეკინის სადიპლომატიო კორპუსმა შანჰაის ბანკებისაგან კომისიის შედგენა გადასწყვიტაო. კომისიამ ბაჟის გადასახადის შემოსავალი უნდა განაგოს და ამნაირად უცხოელთაგან აღებული სესხი უზრუნველჰყოს. საელჩო კორპუსის უხუცესი მალე დაწვრილებითს განკარგულებას მიიღებს.

**ჩიფუ.** რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელი ელჩებს ნახულობს. სამხედრო სასამართლოს დადგენილებისამებრ, განთქმული ბოროტმოქმედი და ორი მისი თანაშემწე დახვრიტეს. მათ ენკენისთვეში იაპონელი ვაჭარი მოჰკლეს.

**ლონდონი.** გაზეთების სიტყვით, ლონდონში იდუმალად მცხოვრები, ჩინეთის რევოლუციონერთა მეთაური ექიმი სუნიატსენი ჩინეთს გამგზავრებულა.

**მუკდენი.** გენერალ-გუბერნატორისა და მცხოვრებთა უზრუნველ-მყოფელ კომიტეტს შორის უთანხმოებაა, რადგან ჩჟაოერსუნს პეკინთან ურთიერთობა ჯერაც არ მოუსპია. მონგოლეთში რევოლუციონერები ავტონომიის აღდგენას ჰპირდებიან მცხოვრებთ.

**პეკინი.** საკონსტიტუციო პალატამ დაადგინა, ბოგდიხანს გძელი თმის ტარების მოსპობისა და 1 იანვრიდან გრიგოლის კალენდრის შემოღების თაობაზე მოხსენება წარუდგინოს. დეპუტატები უკმაყოფილონი არიან, რატომ აქამდის პრემიერი არ მოდის და სამოქმედო გეგმას არ გაგვაცნობსო. ადასტურებენ შანსიში რამდენიმე უცხოელის მოკვლის ამბავს. თიანძინიდან გამოქცეულნი იუწყებიან, ფოსტის უფროსი ხეტნე ცოლითა და ორის შვილით მძარცველებმა მოჰკლესო. სიანფუს მიდამოებში რამდენიმე მისიონერი მოჰკლეს. შანსიში მცხოვრებ უცხოელთა შესახებ ცნობანი ძალიან ცოტაა.

**პეკინი.** არ იციან, სად არის ადმირალი სა, თუმცა რამდენიმე დღეში გაუგზავნეს და საზღვაო მინისტრად დანიშვნა შეატყობინეს. ამბობენ, სა რევოლუციონერებს მიემხროო. ჩილის საპროვინციო საკრებულო მთავრობას ურჩევს, ბრძოლას თავი დაანებე, დაე, ჩინეთის სახელმწიფოს ფორმა პროვინციათა დეპუტატების კრებამ გადასწყვიტოსო.

**უჩჟოუ** (პროვინცია ცზიანსი). ცზიცზიანის სიმაგრეზე გადასასვლელად ადმირალმა სამ სარევოლუციო დროშა ააფრიალა. რევოლუციონერებმა ნადიმი გაუმართეს, რის შემდეგ იგი მთავრობის ნავთსადგურს წავიდა. უკან გამოგზავნილი სამი ნაღმოსანი [illegible] იძულებულ ჰყო უკან გამობრუნებულიყო. რევოლუციონერთა სამი კრეისერი 6 ნოემბერს ხანკოუს მოვიდა. სახელმწიფო მართვა-გამგეობის ფორმის დასადგენად პროვინციათა წარმომადგენელნი უჩანფუში შეიკრიბებიან.

გაზეთებიდან.

ლონდონი.

იუანშიკაის მდივანს „ნიუ-იორკ-ჰეროლდის" კორესპონდენტისთვის საქმის ვითარება ამნაირად დაუსახავს: იუანშიკაის სადღეისოდ საკითხად ჩინეთის მთლიანობის დაცვა და იმპერიის დარღვევის შეჩერება მიაჩნია. ამ საქმესთან შედარებით სხვას ყველაფერს უმნიშვნელოდ სთვლის.

რაც შეეხება სახელმწიფოს მმართველობას, იგი მონარქიის მომხრეა. მონარქის უფლება ხალხის წარმომადგენელთა მიერ საკმაოდ იქნება შეზღუდული. ეს იუანშიკაის პირადი შეხედულებაა და, თუ პროვინციათა წარმომადგენლებმა რესპუბლიკის შემოღება გადასწყვიტეს, იუანშიკაი მოვალედ ჩასთვლის თავს, ხალხის ხმას დაემორჩილოს.

ჩილის პროვინციის სათათბირო კომიტეტმა პეკინის მთავრობას განცხადება გაუგზავნა, რითაც რესპუბლიკა და იუანშიკაის პრეზიდენტობა მოითხოვა.

ამავე განცხადებაში კომიტეტი ეხლანდელ დინასტიის ტახტიდან გადადგომას და ბატონიშვილთა განდევნას მოითხოვს.

ნანკინში „თეთრთა ტერორი" გამეფდა. გენერალი ჩენგი საშინელ სისასტიკეს იჩენს. თმა ცაკრეჭილ ჩინელებს სიკვდილით სჯიან. მისი ჯარისკაცნი, პროვინციის მცხოვრებთა ნაძირალნი, ყველას სძარცვავენ და ჰხოცავენ. ჩენგი სცდილობს ნანკინში გაანადგუროს ყველა დაწესებულება, რასაც კი ევროპის ელფერი დაჰკრავს.

რევოლუციონერებმა გამოაცხადეს, 10 ათას მანეთს ჯილდოს მივცემთ ჩენგის თავის მომტანსაო.

პარიზი.

გაზეთების სიტყვით, რუსეთსა, ინგლისსა და იაპონიას მოლაპარაკება აქვთ, ჩინეთში როგორ ვიმოქმედოთო.

პეკინიდან ამბავი მოდის, ჩინეთის რევოლუციონერთა მეთაურმა ლიხუენხუნგმა იუანშიკაის შეუთვალა, ქვეყანას მხოლოდ მანჯურთა დინასტიის გადადგომა დაამშვიდებსო.

# იტალიისა და ოსმალეთის ომი

დეპეშები

8 ნოემბერი.

**სტამბოლი.** ოფიციალურად იუწყებიან, მეწამულ ზღვაზე აკაბას ზარბაზანი დაუშინესო. ზარბაზანს იტალიის ორი კრეისერი ისროდაო.

**ტრიპოლი.** 5 ნოემბერს იტალიელები ტობრუკიდან არაბთა ბანაკს ესროდნენ. არაბები წუხელ გაიქცნენ. 5 ნოემბერს დილით დერნასთან დიდი ბრძოლა მოხდა. მტერი უკუქცეულ იქმნა.

დასაზვერად ხუთი ჰაეროპლანი აფრინდა. მფრინავებმა რამდენიმე ყუმბარა ესროლეს მტრის ბანაკს. მფრინავ სფეროს ცნობებით, სამხედრო გემმა მტრის შუაგულს—ამრუსს—ზარბაზნით სროლა აუტეხა.

**სტამბოლი.** ოპოზიციის სხვა და სხვა პარტიებმა პოლკის უფროსს სადიკის მეთაურობით ბლოკი შეადგინეს, რასაც სახელად „თავისუფლება და თანხმობა" ერქმევა. იგი „ერთობისა და პროგრესის" პარტიასთან საბრძოლველად დაარსდა.

**რომი.** „სტეფანის" აუწყებენ, ამ დღეებში მეფის ბრძანებას გამოაქვეყნებენ, რის ძალითაც მთავრობამ სამხედრო და საზღვაო სამინისტროს 65 მილიონის სესხი უნდა მისცესო. ეს ფული ტრიპოლში 17 ნოემბრამდე გაწეულ ხარჯის დასაფარავად სჭირდებათ.

# სპარსეთის არეულობა

დეპეშები.

8 ნოემბერი.

**ლონდონი.** „რეიტერს" გაუგია: რუსეთისა და სპარსეთის სადიპლომატიო მოლაპარაკების მოსპობის შემდეგ, სპარსეთს ინგლისისთვის უთხოვნია, მირჩიე როგორ მოვიქცე, ყველაფერს დაგიჯერებო. სპარსეთი მზადაა რუსეთის მოთხოვნილებანი აასრულოს იმ პირობით კი, თუ რუსეთის ჯარი, თუ უკან გაიგზავნა იგი, უკან დაბრუნდება. სპარსეთის მთავრობა უარჰყოფს ამბავს, ვითომც შუსტერს მაშინ ემოქმედოს, როცა რუსის ელჩს და მის მოხელეთ მოლაპარაკება ჰქონდათ.

**პეტერბურგი.** პირველ დრაგომანის პირათ თეირანში მყოფნი რუსეთის ელჩმა სპარსეთის მთავრობას გადასცა. ჯარის გაგზავნისა და ყოველგვარ სადიპლომატიო მოლაპარაკების მოსპობის ამბავი. მოლაპარაკების ასეთ მოსპობას სპოლიტიკო ხასიათი აქვს. რაც კი სასამართლოსა და საერთოდ სხვა საქმეს შეეხება—აქ რუსეთისა და სპარსეთის მოხელეებს ისევ აქვთ ერთმანეთში ურთიერთობა.

**ვენა.** პარიზიდან სპარსეთის სამხედრო მინისტრად ნამყოფი ბახტიართა მეთაური, სერდარ-ასადი მოვი[illegible]მან „ნეიე-ფრეიე-პრესსეს" წარმომადგენელს უთხრა, ნაშაჰარის საქმე წასულიაო. სარდარ-ასადი თეირანს ბრუნდება, რადგანაც ჰსურს სპარსეთისა და მეზობელ სახელმწიფოთა ურთიერთობა მოაგვაროს როგორმე.

გაზეთებიდან.

ბუშირიდან (დიდი ნავთსადგურია სპარსეთის ყურეში), „კელნიშე ცაიტუნგს" ატყობინებენ: ინგლისის ელჩი სპარსელ ვაჭრებს ურჩევს, ინგლისის მთავრობას საერთო თხოვნა გაუგზავნეთ, დაგიფაროთ ახვაზ-ისპაჰანის გზაზე გახშირებულ ძარცვა-გლეჯისაგანაო. რამდენიმე კაცს მოაწერინა თურმე ხელი, ამისთანა მოწოდებაზე. კორესპონდენტი დასძენს, ინგლისს ამით ჯარის გადასხმის გამართლება ჰსურსო. იგი კიდევ ჰგზავნის ჯარს მდ. კარუნისაკენ, რომლის ნაპირებიც მოსაზღვრეა შუაგულ სპარსეთისა. ამ ამბავმა სპარსეთში დიდი აღელვება გამოიწვია. მეტადრე მას შემდეგ, რაც რუსეთმა ულტიმატუმი გაუგზავნა.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

8 ნოემბერი.

საზღვარ-გარედ.

**პარიზი.** პალატას მსჯელობა ჰქონდა დეპუტატის ბუგის შეკითხვის თაობაზე. იგი ეხება გარეშე საქმეთა კომისიაში დე-სელვის განცხადებას საზოგადოდ ამ სამინისტროს არეულ-დარეულობას. ბუგი ეხლავე განხილვას თხოულობდა. კაიომ მოითხოვა, პალატამ მაშინ იმსჯელოს, როცა გარეშე პოლიტიკის თაობაზე იქნება კამათი. შეკითხვის განხილვა გადაიდო 374 ხმით 145 წინააღმდეგ.

**პრაღა.** ჩეხელთა და გერმანელთა მიერ შესათანხმებლად დაარსებულმა ეროვნულ პოლიტიკის კომისიამ, უარჰყო ჩეხელების წინადადება, ჩეხთა სეიმისთვის საერთო საარჩევნო უფლების თაობაზე.

**ვენა.** განათლების სამინისტრომ ვენის მეთორმეტე ოლქში ჩეხელთა სკოლის გაუქმება დაადასტურა.

**პარიზი.** დასავლეთის რადიკალ-სოციალისტთა გაზეთ „ლანტერნის" რედაქტორი ფლამონი, რომელსაც უზნეობის ჩადენას აბრალებენ. სხვებთან ერთად აღმოაჩინეს დიდი ორგანიზაცია, რომელიც მცირე-წლოვანთ ხრწნიდა.

**ლონდონი.** კომისიის მოხსენების თაობაზე გამართული რკინის გზაზე მომუშავეთა შეკითხვა სერიოზულ მომავალს უქადის ქვეყანას. სამხრეთ უელსში მუშათა 90 პროცენტი გაფიცვის მომხრეა. ნიუკასლში გამართულმა მუშათა კრებამ დაადგინა, ყველას ურჩიოს—გაფიცვას მისცენ ხმა. დასავლეთის გზის მეისრენი თვიურად ექვსი მანეთის მომატებას ითხოვენ.

რუსეთი.

**ეკატერინოდარი.** დილის ათს საათზე შუაგულ ქალაქში ხუთმა შეიარაღებულმა მთიელმა მაღაზია გაძარცვა. სროლის დროს დაჭრილია ერთი მძარცველი; ერთიც დაიჭირეს.

**ვორონეჟი.** სოც. დემ. ორგანიზაციის მონაწილეს და გუბერნატორ სლეპცოვის მკვლელს ორლოვსკის სამუდამოდ გადასახლება გადაუწყვიტეს.

**პეტერბურგი.** ლომონოსოვის დაბადების ორასის წლის თავი მთელ რუსეთში იდღესასწაულეს. სააგენტომ იმპერიის სხვა და სხვა ქალაქებიდან

---

ძლიანთ უფასოდ, მუქთად მიიღოთ წმინდა რუსული სახელმძღვანელოები, მაგრამ თუ გოგებაშვილის „რუსკოე სლოვო" გინდათ იხმაროთ თქვენს სკოლაში, საკუთარი ფულით უნდა იყიდოთო.

ბიუროკრატია თავისი გულის წადილს ვერ მოეწეოდა, თუ მასწავლებლები და საზოგადოება მტკიცედ იდგებოდნენ წოდმართს აზრზე. მაგრამ ამ სიმტკიცეს უთხრის ძირს ჩვენი პედაგოგი და უკულმართობას ხელს უმართავს. რა გზით? საარაკო სიცრუით იგი აგონებს ქართველობას, თითქო „რუსკოე სლოვოს" მეორე ნაწილი წმინდა რუსული წიგნი იყოს, იმისთანა წიგნი, რომელშიაც მხოლოდ მცირეოდენი ქართული ელემენტი მოიპოვებოდეს, და მაშასადამე მისი გაცვლით წმინდა რუსულ მუნჯურ წიგნზე ქართველობა მაგდენს არაფერს წააგებდესო. სიცრუე ამაზე შორს ვერ წავა. გადაფურცლეთ, მკითხველო, წიგნი და თქვენ დარწმუნდებით, რომ პირველი ნახევარი და მეტიც „რუსკოე სლოვო"-ს მეორე ნაწილისა სავსეა **„დედა-ენიდან"** გადაღებული მოთხრობებით, არაკებით, სასაუბროებით, სურათებით და საუკეთესო საბავშვო ლექსებით. ლექსები ჩინებულად არის ნათარგმნი, საგანგებოდ ჩვენი „რუსკოე სლოვო"-სათვის თხორჟევსკისა და მისი მეუღლის მიერ, რომელნიც რუსეთულს მგოსანთა შორის ცნობილნი არიან ფსევდონიმით **„Иванъ да Марія"** წიგნში ჩართულია ორასამდინ სურათი, ადგილობრივ დახატული და ამოჭრილი, გამომხატველი გარეშემორტყმული სინამდვილისა და მხოლოდ ათიოდე სურათია ნასესხები რუსული წიგნებიდან. თვით წიგნის იმ შინაარსში, რომელიც დანიშნულია მესამე წლის ბოლოსათვის (74 გვერდიდან), თუნდა ოცს რამეს მჭიდრო კავშირი აქვს „დედა ენასთან" აქ არის მოთავსებული მოთხრობები, ლექსები და სასაუბროები, რომელნიც ან თარგმანს წარმოადგენენ ქართულად ნასწავლიდან, ან ძლიერ გვანან მათ და ნაცნობ ელემენტებთან უცნობსაც ასწავლიან მოსწავლეებს. ამასთან წიგნის ბოლოში მოთავსებულია რუსულ-ქართული ლექსიკონი, რომელშიაც განმარტებულია სამი ათასამდინ რუსული სიტყვა ქართულად.

ახლა ვკითხავ მკითხველს: რა სახელი უნდა დაერქვას ქართველ პედაგოგს, რომელიც ქართველ საზოგადოებას ჩასჩიჩინებს: „რუსკოე სლოვო"-ს მეორე ნაწილი იმდენად რუსული წიგნიაო, რომ შიგ მხოლოდ სამი ქართული მოთხრობა მოიძებნებაო. მართალია, სხვა ენებიდანაც, უმთავრესად რუსულიდან, ბლომად მაქვს ჩართული მოთხრობები, ლექსები, არაკები და იგავარაკები; მაგრამ ესენი სულ საზოგადო შინაარსიანი არიან და უამათოდ მეორე ნაწილი „რუსკოე სლოვო"-სი თითქმის მხოლოდ თარგმანი იქნებოდა „დედა ენისა". ამგვარ უცხოურს მოთხრობებს, ქართულად თარგმნილს, დიდი ადგილი უჭირავს თვით იმისთანა ქართულ სახელმძღვანელოში, როგორც არის „გუთანი", და მით უფრო ბუნებრივია და საჭირო მათი მოქცევა რუსულის ენის სახელმძღვანელოში.

ჩვენმა მოწინააღმდეგემ ჩემს წიგნში ანტინაციონალური და ანტიპედაგოგიური მასალაც აღმოაჩინა. ამისთანა მასალად მიაჩნია მას: **„Начальныя свѣдѣнія о Россіи", Воспоминанія русскаго мальчика о праздновании Рождества Христова** მოთხრობა **Крещенія и воскресенія христа"** და მოთხრობა **Любовь къ ближнему**, ყველა ეს მასალა მოქცეულია წიგნის ბოლოში და ისწავლება საქალაქო სკოლებში მესამე წლის ბოლოს და სასოფლოში მეოთხე წლის პირველს ნახევარში; მაშასადამე მაშინ, როდესაც ქართველს ბავშვებს მეტ ნაკლებობით შეთვისებული აქვთ უკვე რუსული ენა. პირველს წერილს ტყუილად ნათლავს ჩვენი პედაგოგი რუსეთის გეოგრაფიად. ეს წერილი იპყრობს პირველ დაწყებით ცნობებს რუსეთზე და უჭირავს მხოლოდ სამიოდე გვერდი. როცა ამას რუსულად კითხულობენ, ქართველ ბავშვებს უკვე შესწავლილი აქვთ ქართულად „ბუნების კარიდან" პატარა წერილი რუსეთზე, და მაშასადამე ცნობილს შინაარსზე იძენენ ახალს ცოდნას რუსული ენიდან. მეორე მიზეზი, რომლის მიხედვით მე ჩავურთე ეს პატარა წერილი, გახლავთ ისა, რომ სახალხო სკოლების პროგრამა მოითხოვს პირველ დაწყებითს გეოგრაფიულს ცნობებს რუსეთის შესახებ რუსულს ენაზე. ამისთანა ცნობები ყოველს რუსულს სახელმძღვანელოშია მოთავსებული. მე რომ ეს პატარა წერილი არ ჩამერთო, რუსეთის ცალკე გეოგრაფიას შემოიღებდნენ ჩვენს ბევრს სახალხო სკოლებში, აყიდვინებდნენ საწყალ ბავშვებსა და მისი გაზეპირებით ტვინს გამოულაყებდნენ. ეხლა კი ეს გამოლაყება აღარ ემუქრება ბავშვებს, და ამასთან მათნი გაძვალტყავებულნი მშობელნი თავისუფალნი არიან ზედმეტი ხარჯისაგან. თქვენ კი, ბ-ნო პედაგოგო, ამას ჩემი მხრივ მიუტევებელ დანაშაულობად სთვლით. რას ჰგავს ესა?

**იაკობ გოგებაშვილი.**

(შემდეგი იქნება).

დუშეშები მიიღო: სასწავლებლებს და ქველმოქმედ საზოგადოებებს გადასცეს და სალიტერატურო დილა-საღამოები გამართო.

# თეატრი და ხელოვნება

**სახალხო სახლი.** ქართულ წარმოდგენების მმართველი წრე დღეს გამართავს წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება: „პარიზელი ბიჭი" და კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი".

**ქუთაისი.** დიდი მზადების შემდეგ, 5 ნოემბერს, ადგილობრივმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა რუსეთის დიდებული მწერლის ლ. ტოლსტოის 6 მოქ. დრამა „ცოცხალი გვამი", თარგმანი გ. ახალციხელისა. არ გვეგონა, თუ ქართული დასი შესძლებდა ამ პიესის დადგმას, რომელიც რუსეთის ცხოვრებიდანაა ამოღებული და რუსული სულით გაჟღენთილი, რომლის რიგიანად დადგმა რუსულ დასთაც კი ძლიერ უჭირთ. მაგრამ შრომასა და ენერგიას რა არ შეუძლიან. შემთხვევა გვქონდა თვალყური გვედევნებინა დასის სამზადისისთვის და პირდაპირ განცვიფრებული ვიყავით განსაკუთრებით მისი ხელმძღვანელის მ. კორელის დაუღალავი ენერგიით. ის არ კმაყოფილდება ჩვეულებრივი რეპეტიციებით, რომელიც ყოველ დილა-საღამოს იმართებოდა თეატრში, და ყოველ ნასადილევს მსახიობნი და მომღერალთა გუნდი მის ბინაზე იყრიდნენ თავს სარეპეტიციოდ. ბ-ნი კორელი მარტო რეჟისორის მოვალეობას კი არ ასრულებდა, ის იყო ლოტბარი, მხატვარი, დეკორატორი. ასეთის ენერგიით, ასეთის თავდადებით რომ კაცმა იმუშაოს, საჭიროა არა მარტო საქმის სიყვარული, ხელოვნებით გატაცება, არა, ეს არ კმარა: ხელოვნება მისი არსების ნაწილს უნდა შეადგენდეს და მისი სულიერი საზრდო უნდა იყოს! მხოლოდ ასეთი მზადებით შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ ქართულმა დასმა სძლია პიესის სიძნელეს და ბევრად უფრო კარგად ჩაატარა წარმოდგენა, ვიდრე ამას წინად ტფილისიდან ჩამოსულმა ქ-ნ ბოიარსკაიას რუსულმა დასმა. ჩვენ ამას ვამბობთ წარმოდგენის შინაგან მხარეზე; რაც შეეხება მის გარეგან მხარეს, ამ მხრით ხომ რუსული წარმოდგენის შესახებ ლაპარაკიც კი არ შეიძლება! პიესის მთელი ექვსი მოქმედება, თორმეტი სურათი ერთსა და იმავე ოთახში გვაჩვენეს. მერე ისიც რა ოთახში: ერთი მხრით რაღაც მწვირიანი კედელი, ორი მხრით კედლის მაგივრად ტილოს ფარდები; არც კარი, არც ფანჯარა! ოთახის მოწყობილება ხომ ღმერთმა შეინახოს! აი, ეს საოცარი ოთახი ხან „ტრაქტირს" წარმოადგენდა, ხან უბრალო ბინას, ხან კამერგერის მდიდრულ დარბაზს, ხან გამომძიებლის ოთახს, ხანაც სასამართლოს დერეფანს! ქართულ წარმოდგენაზე კი ყოველ ახალ სურათს ახალი, საგანგებოდ დამზადებული შესაფერი დეკორაციები ამშვენებდა. წარმოდგენის სულის ჩამდგმელს ნინო ჩხეიძის მეტად გრძნობიერმა თამაშმა „ელიზავეტა ანდრეევნას" როლში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე. მას მხარს უმშვენებდნენ ბ.ბ. იმედაშვილი—პროტასოვი და ზარდალიშვილი—კარენინი. მშვენიერი იყო თამარა გოგოლაშვილი ბოშა ქალის (მაშას) როლში: რამდენი სიცოცხლე, სიმკვირცხლე იხატებოდა მის ხმაში, ყოველ მის მოძრაობაში! გეგონებოდათ, ნამდვილი ბოშა ქალიაო. მხოლოდ სიმღერაში კი სუსტობდა. სამაგიეროდ, ქ-ნმა ლორთქიფანიძის ასულმა თავი ისახელა მოხდენილი სიმღერით. ბ-მა ყალამბეგაშვილმა ორი როლი შეასრულა: ჯერ მხიარულის, მოცეკვავე ბოშასი და შემდეგ გენერლის თავ. აბრეზკოვისა. ორივეში მშვენიერი იყო. ბოშა ქალთა ხოროს სიმღერამ აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება, მიუხედავად იმისა, რომ მომღერალთ საზოგადოდ აკლდათ ბოშა ქალების ცეცხლი, გამბედაობა.

მიუხედავად საბენეფისო ფასებისა თეატრი გაჭედილი იყო.

**ჭიათურა.** კვირას, 6 ნოემბერს, ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ, ქ.ქ. ჯავახიშვილის, ლოლუას, და ვალ. შალიკაშვილის მონაწილეობით წარმოადგინეს „ექიმი შტოკმანი".

წარმოდგენამ საერთოდ მწყობრათ ჩაიარა. კარგი იყო შტოკმანის როლში შალიკაშვილი, მშვენიერი ასლანქსენი იყო ბ-ნი გოგილაური. მის გამოთქმა, ბუნებრივი იყო. კარგი იყო მეტადრე იმ ალაგას, როდესაც შტოკმანი საჯაროდ ქადაგებს.

სრულებით არ ვარგოდა და არც როლი იცოდა ბ-მა მწარიშვილმა.

მშვენიერი ბურგომისტრი იყო ნ. ცუციძე, სავსებით შესძლო დაესურათებინა ერთის მხრივ გაიძვერა ძმის სულიერი მდგომარეობა და მეორის მხრივ კეთილ-სინიდისიერის მოხუცის გრძნობა. არაუშავდა რა ქ-ნ ჩხეიძე, მით უფრო, რომ იგი დიდი ხანია სცენაზე არ გამოსულა. სუსტობდა ლეჟავა. მოხდენილად ჩაატარა ქ-მა ლოლუამ თავისი როლი. კარგი იყო აგრეთვე ქ-ნი ჯავახიშვილი, იგი ნამდვილი მეუღლე იყო შტოკმანისა, რომელიც მასთან ერთად ჰკაფავდა ნარ-ეკლით მოფენილ გზას. კეთილი, მგრძნობიარე, და მფარველი ფლაქსმენი იყო ბ-ნი ტარუაშვილი; მხოლოდ უგრიმოთ გამოსვლა სცენაზე, ასეთ პატარა დაბაში, ყოვლად შეუძლებელია, მით უფრო, რომ მას ყველა იცნობს.

კარგი იყო აგრეთვე ვარაზაშვილი, მორტენლაირის როლში. დანარჩენები ანსამბლს ხელს უწყობდნენ. წარმოდგენას ხალხი ბევრი დაესწრო და ბევრიც უბილეთობის გამო სახლში დაბრუნდა.

**ლიტერატურული დილა.** სამშაბათს, 8 ნოემბერს, ჭიათურის სამოქალაქო სასწავლებელში, ამავე სასწავლებლის ინსპექტორის ხელმძღვანელობით გაიმართა სალიტერატურო დილა.

მლ. ბარათაშვილმა წაიკითხა მოკლე ბიოგრაფია ლომონოსოვისა. მოიყვანა ფაქტები მისი ცხოვრებიდან. შემდეგ პანაშვიდი გადაიხადეს. გალობდა მოწაფეთა ხორო სანდრო კავსაძის ლოტბარობით.

მასწავლებელმა კიკალეიშვილმა წაიკითხა ქართულად ბიოგრაფია. მოწაფე ბუაჩიძემ წაიკითხა რუსულ ენაზე რეფერატი.

მადლობის ღირსია ამ სასწავლებლის ინსპექტორი ჯაყელი, რომელიც ყოველ-გვარ დახმარებას უწევს ღარიბ მოწაფეთ და ამნაირ სალიტერატურო დილას ჰმართავს. კარგი იქნება, სხვა სასწავლებლებმაც წაბაძონ. მოწაფეები სახლში ნასიამოვნები დაბრუნდნენ.

**ბაი—შვილი.**

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

განსვენებულმა საზოგადო მოღვაწემ ნიკოლოზ ზუბედეს ძე ცხვედაძემ მთელი თავისი სიცოცხლე სახალხო განათლების საქმეს შესწირა. მისი ერთად ერთი იდეალი იყო ჩვენი ხალხი სწავლა-განათლების მხრით წინ წაწეულიყო და ამით შესძინა გონებრივი, ზნეობრივი და ნივთიერი განვითარება. ჩემის აზრით, საუკეთესო პატივისცემა განსვენებულის ხსოვნისა ის იქნება, ვინც შეძლების დაგვარად ხელს შეუწყობს იმ იდეალის განხორციელებას, რასაც ეტრფოდა მთელს თავის სიცოცხლეში განსვენებული ნიკოლოზ ზუბედეს ძე. ჩემის მხრით გაახლებთ ამასთანავე მცირე წვლილს (5 მან.) განსვენებულის სოფლის კავთიხევის ბიბლიოთეკა-სამკითხველოსათვის და გთხოვთ გადასცეთ კუთვნილებისამებრ *).

**ლ. ხოცგაძე.**

*) ფული მივიღეთ და გადაეცა დანიშნულებისამებრ. **რ ე დ.**

## გამოსადეგი ცნობა

**მატარებელთა მიმოსვლა ზამთრობით.**

(დრო პეტერბურგის საათითაა ნაჩვენები, რომელიც ადგილობრივ საათზე 58 წუთითაა უკან).

15 ოქტომბრიდან

**ტფილისიდან გადის:**

**ბათუმისაკენ:** 1) სახალხ. მატ. № 7, II—III კლ. გადის ხაღ. 9 ს. 40 წ., გორში ჩადის 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 2 ს. 10 წ., რიონში დილ. 6 ს. 54 წ., ბათუმში შუადღ. 12 ს. 44 წ.

2) სახალხო მატარ. N 5. II—III კლას. გადის ხაღ. 6 ს. 30 წ., გორში ჩადის 8 ს. 26 წ., მიხაილოვში 10 ს. 58 წ. რიონში 12 ს. 55 წ., ბათუმში დილ. 5 ს. 28 წ.

3) საფოსტო მატ. N 3, I—III კლ. გადის დილ. 8 ს. 52 წ., გორში 11 ს. 29 წ., მიხაილოვში 12 ს. 58 წ., რიონში ხაღ. 5 ს. 19 წ., ბათუმში ღამ. 10 ს. 15 წ.

**ბაქოსაკენ:** 1) ჩქარი მატარ. N 2, I—III კლ. დილ. 9 ს. 22 წ., განჯაში ნაშუადღ. 2 ს. 0 წ., ბალაჯარაში ხაღ. 10 ს. 18 წ., ბაქოში ხაღ. 10 ს. 45 წ.

2) სახალხო მატ. №6, I—II კლას. ნაშუადღ. 2 ს. 40 წ., განჯაში ხაღ. 8 ს. 48 წ., ბალაჯარაში დილ 6. 36 წ., ბაქოში დილის 7 ს. 13 წ.

3) საფოსტო მატ. N 4, I—III კლ. ღამ. 10 ს. 20 წ., განჯაში დილ. 4 ს. 31 წ., ბალაჯარაში ნაშუადღ. 2 ს. 32 წ., ბაქოში ნაშუადღ. 3 ს. 54 წ.

4) შერეული მატ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 34 წ., განჯაში ნაშუადღ. 1 ს. 59 წ., ბალაჯარაში დილ. 5 ს., ბაქოში დილის 6 ს. 14 წ.

**ბორჯომისაკენ:** 1) სახალხო მატარებ. N 9/66, I—III კლ. ნაშუადღ. 2 ს. 25 წ., ბორჯომში ჩადის ხაღ. 8 ს. 4 წ.

**ჯულფასა და ერევნისაკენ:**

სახალხო მატარ. N 74/75, I—III კლას. ხაღ. 10 ს. 50 წ. ჯულფას ჩადის მეორე დღეს ხაღამოს 10 ს. 12 წ,

2) სახალხო და საქონლ. N 78—79, II—III კლ. ნაშუადღ. 4 ს. 36 წ., ერევანში ჩადის დილის 10 ს. წ.

**ტფილისში მოდის:**

**ბათუმიდან:** სახალხო N 6, I—III კლას ნაშუადღ. 1 ს. 52 წ., საფოსტო N 4, დილ. 9 ს. 30 წ. სახალხო № 8,—ნაშუადღ. 4 ს. 35 წ.

**ბაქოდან:** სახალხო N 5. ნაშუად. 4 ს. 9 წ. საფოსტო N 3.—დილ. 7 ს. 56 წ. ჩქარი მატარ. N 1 —ხაღ. 8 ს. 58 წ.

**ერევნიდან:** ხაღ. N 72—73,—დილის 7 ს. 27 წ.

**ერევნიდან:** საბარგო და სახალხო № 80 81—შუადღის 12 ს. 42 წ.

**შენიშვნები:** 1) გადაუჯდომლად პირდაპირი მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6, ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებითა).

**ჯულფიდან:** ხაღ. N 72—73, დილ. 6 ს. 40 წ., სახალხო და საქ. N 80—81, II—III კლ. შუადღ. 12 ს. 28 წ.

**ბორჯომიდან:** სამგზავრო N 7—8, დილ. 6 ს. 20 წ., სახალხ. N 9—10, ხაღ. 8 ს. 30 წ.

# განცხადებანი

**პასუხად არონას**

სახალხო გაზეთის № 442. ბბ. არონა, საფარა, ისაკა, ვ—ძე, თ—ძე მიწვევენ სამედიატორო სასამართლოში იმ წერილის გამო, რომელიც მე მქონდა გაზ. „მნათობის" № 30. როგორცა ჩანს, ამ წერილს ძლიერ უკმაყოფილება გამოუწვევია მათში, იმიტომ რომ სიმართლე ვთქვი მათ წარსულ მოქმედების შესახებ და არა საზიზღარი ცილი დავწამე. სამედიატორო სასამართლო ერთად-ერთ კულტურულ საშუალებად მიმაჩნია სიმართლის აღსადგენად, მაგრამ ჩემს მოპირდაპირეებს აინტერესებთ არა სიმართლე, არამედ პიროვნება. ამისათვის სხვა და სხვა მოსაზრებისა გამო, შეუძლებლადა ვცნობ სამედიატორო სასამართლოში პირადად გამოცხადებას, მხოლოდ მედიატორეებს წარვუდგენ წერილობითი საბუთებს. მედიატორებად ვასახელებ: ილიკო გოგელიას, ილია კალანდაძეს და ლეონ მახარაძეს. დაე, მათ მიუდგომლად დასდონ მსჯავრი ჩვენს მოქმედებას, თუ ვინ არის საზიზღარი, მოროტი ადამიანი, თქვენ თუ მე.

(1—923—1) **მუშა „ალიოშა"**

**ქ. თელავში**

**ისყიდება პირველად გამოსული ქართულ ენაზე**

# ჭრა-კერვის

**წიგნი**

თვით-მასწავლებელი, 128 ნახატით. **ახალი მეთოდი.**

ექვს ნაწილად; ქართული, იმერული, ევროპიული ტანისამოსი და თეთრეული მანდილოსანთათვის და ბავშვთათვის; აგრეთვე ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოცემული **სოფიო ი. სიმონოვის მიერ.**

ფასი ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მ. 50 კ. ვინც ათ ცალს ანუ მეტს ერთად დაიბარებს, ფოსტით გაგზავნის ფული არ გადახდება. გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც. ადრესი: **Въ г. Телавъ, „Школа кройки и шитья Софіи Іосифовны Симоновой. Вульв. пер. 2. собс. домъ.**

(100—1140—85)

**სამშობიარო თავშესაფარი**

# მ. ი. პრემერ

**ნიკოლოზის ქუჩა, № 47.** ორსულ და მშობიარე მანდილოსანთა მიღება ყოველ დროს, დღისით და ღამით. მიიღებიან ქალთა სნეულებისა და სამშობიარო საქმისათვის. ჩასინჯვა და შემოწმება ძიძებისა და მოახლეებისა; ყვავილს უცრის ყოველ დღე ნაშუადღევის 1—2 საათამდე თავშესაფარის გამგე დოქტორი-მედიცინისა.

(25—913—6) **ი. გ. ყარამზაროვი.**

# დოქტ. ნავასარდიანისა

ყოველ დღე, კვირების გარდა დაარსებულია 1880 წელს. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

**ხ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**უ. ს. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მუღანი:** 10—12 ს. ყურისა ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ბეგლიხანეცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.

**ქალ. ექიმ. ბ. ს. ზილბერმაცი:** 12 ნახ.—1 ს. საბებ., ქალ. და ბავშვებისა.

**გ. ი. გურგენოვი:** 1—1 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან· და სხბავშვო.

**ზ. გ. აგასაროვი:** 9—10 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერმაცი:** 6—6 ნახ.-ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**მ. გ. ბეგლიხანეცი:** 6—7 საათ.

11—12 ს. **606 წამლობა, კონსულტატიურად.**

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით სამკურნალოს დირექტორი მედიცინი დოქტორი ხ. ა. ნავასარდიანი.

(წ. (1168—178)

**მუხრანის ხიდთან**

# სამკურნალო

მუდმივის საწოლებით.

**Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цициановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.**

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

**ა. ა. გაზაზოვი**—შინაგან სნეულებანი, დილის 10—11 ს.-დე.

**გ. მ. გოგოსერიძე**—შინაგან და ბავშვებ., დილის 11—12 ს.-დე.

**მ. კ. ოთხელიანი**—დედათა სნეულებ., დილის 10-ნახევარიდან 11 ს.

**მ. ლ. შტრეიხერი**—ყელისა და ყურისა, 11 ნახ.—12 ნახ. ს.

**ლ. გ. ხაჟვარელიძე**—შინაგან და ბავშვებ., 12 ნახ.—1 ს.-დე.

**იაშვილი**—შინაგან, 1—2 ს.-დე.

**გ. ბ. მელქონიანი**—ქირურგ., 12—1 საათამდე.

**ა. ი. გრიგორიანი**—ქირურგ. 11—12 ს.-დე.

**გ. ა. ახვერდოვი**—შინაგან, 12 ნახ. —1 ნახ. ს.-დე.

**მ. დ. კილოსანიძე**—ქირურგ. 12 ნახ. —1 ს.-დე.

**კბ8 ში**—კბილისა, 8—10 ს.-დე.

**მ. გ. მიკირტუმოვი**—დედათა სნეულებანი და საბებიო, 1 ნახ.—2 ს.-დე.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით(Ehrlich-Hata) **„606"-ით.**

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.

**№ 646. 100—50 (0—1008—170**

**ქმ. ავსარქისოვების**

# საგალოსნო

**ჰყიდის ხილის ნერგებს:** უცხოეთისას, რუსულსა და ადგილობრივ საუკეთესო ჯიშისას—ხელსაყრელ ფასებში.

კატალოგები **უფასოდ**

ადრესი: სადგ. ხკრა (ამიერ-კავკას. რკ. გზა), ავსარქისოვს. (11.1569 5)

**ა გ ე ნ ტ ი**

# მ. ა. გაჩონია

**იღებულობს განცხადებებს როგორც ადგილობრივ, ისე სატახტო ქალაქების გაზეთებისათვის. განცხადებას შემკრებ აგენტობაა ლ. ე. მეტცლისა და ამხ. და სააქციონერო საზოგ. „ანონსის"** რკინის გზის სადგურებზე, გემებზე და ტრამვაებზე პლაკარტების გაკვრის საქმეში.

**მისამართი:** ტფილისი, სასტუმრო „იმპერიალი", გიროჩნისა და მიხეილის პროსპ. კუთხე; ტელეფონი—N 925.

მიღება ყოველ დღე დილის 8—9 ს და საღამოს 4—5½ საათამდე

**გამოცდილი მასწავლებელი**

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელებს მეცადინეობას მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. ამზადებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლისთვის **პირობებით:** სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, საეპარქიო სასწავლებლისთვის, სატეხნიკო, საფერშლო, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლისთვის. აგრეთვე საბებიო ინსტიტუტისათვის, ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე. ყველა კლასის ჩინისთვის.** ღებულობს ანბანის უცოდინარ ქალ. ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, 2) ვერაზე, 3) ვაგზალზე. მონაწილეობას მიიღებენ მასწავლებლები მცოდნენი სხვა და სხვა ენებისა და საგნებისა. მეცადინეობა დაიწყება დილის 8 საათზე და გაგრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს **არა უფროსს 15 წლისა,** მიიღებენ **სრულ ხარჯზედაც, პანსიონში.** მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ-დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

**Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1, (около памяти. Воронцову), спросить учителя.** (თ. 1084.17)

# გამოვიდა და იყიდება თხზულებანი:

**არჩილ ჯორჯაძისა:** წ. I. „ეროვნულ პრობლემის გარშემო", ფ. 75 კ.

" " წ. II. „ჩვენი საზოგადოებრივობა". . . . ფ. 80 კ.

" " წ. III. „ნააზრევი" . . . . . . . . . ფ. 65 კ.

" " წ. IV. წერილები „ცნობის-ფურცელ-მოამბიდან", 1901—1902 წ. . . . . . ფ: 85 კ.

**B â t o n-ისა:** „ერი და კაცობრიობა" . . . . . . ფ. 1 მ. 20 კ.

**შ. ყიფიანისა:** «სამეგრელოს მთავარი ლევან», ისტ. დრამა ფ. 40 კ.

**ნ. შიუკაშვილისა:** «მეგობრობა», 4 მოქმ. დრამა . . . . . ფ. 30 კ.

ყველა ამ წიგნების შეძენა შეიძლება სხვათა შორის ქ. შ. წ. კ. გ. ს. წიგნის მაღაზიაში, ტფილისში და ქუთაისში კვიცარიძისა და მთავრიშვილის წიგნის მაღაზიებში.

# საბანკო სახლ ლ. ვ. ლანდაუ და ამხ.

**კავკასიის სააგენტო**

ტფილისი, მიხეილის ქუჩა № 65, ტელეფონი № 1177.

**ჰყიდის მომგებიან ბილეთებს**

სახელმწიფო სესხ. ფასის ნაწილ-ნაწილად გადახდით.

**აზღვევს მომგებიან ბილეთებს ტირაჟში გამოსვლისაგან იაფად.**

**პროსპექტები პირველ მოთხოვნისთანავე უფასოდ.** (15.1555.8)




**იჯარად კ. ა. ე. საზ. ოპტიკი სპეციალისტი**



# გ. გორნიგი

არსებობს 1873 წლიდან

გოლოვინის პროსპ., საზ. ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიისა.

**სპეციალისტი:** ოკულისტ. (თვალის) ოპტიკასა და საქმის ყოველ მხრივი შესწავლა საზღვარ-გარედ—ნებას გვაძლევს კეთილსინიდისიერად ვაძლიოთ რეცეპტები **სათვალეებისა** და **პენსნე** სატარებლად, საკუთარ სახელოსნოდან



**ნაცადი ტერმომეტრები, ბარომეტრები, გიგრომეტრები** და სხვა.

**ბინოკლები:** თეატრსა, მინდორსა, ზღვასა და სხვაგან სახმარებლად, საზღვარ-გარეთის საუკეთესო სისტემისა. **ფასები ხელმისაწვდომია** და შეუვაჭრებლად, რაშიაც, გთხოვთ პირადად დარწმუნდეთ.

**მისამართი.** გ. გორინგი—ტფილისი. (4—1579—2)

# ღვინით მოვაჭრე

ამხ. **„კომეტა"**

ლორის-მელიქოვის ქ., პუშკინის ბაღის პირდაპირ, ს. ზუბალაშვილისა, № 6.

მიიღეთ კახეთის საუკეთესო ზვრების **ღვინო**, ფასები ყველასთვის ხელმისაწვდომია. (20.1560 5)



# საათების საწყობი იულიუს გენე

# Юліусъ Гене

სასახლის ქ. თავად-აზნაურთა სახლი.

აუარებელი რიცხვი საათებისა ოქროსი, ვერცხლისა და ფოლადისა, საათები შვეიცარიის ქარხნებისა: **ზენიტი, ლონჟინი, ომეგა, ბოურელი შვილი და ამხ.** და სხვანი.

მუდმივ მოგვეპოვება აუარებელი კედლისა და დასადგმელი საათები, ბუდილნიკები, ძეწკვები ოქროსი, ვერცხლისა, ფოლადისა და ოქრო-გადაკრული.

**საათების შესაკეთებლად საკუთარი სახელოსნო გვაქვს.**

**ფასები ზომიერზე ზომიერია.**

(12—1550—6)

სტამბა „სორაპ.", მიხაილოვის ქუჩაზე.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. ჟორდანია[?]